

# სააპელაციო საჩივარი ადმინისტრაციულ საქმეზე

| თბილისის საქალაქო სასამართლო |
| --- |
| *მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის* |
| *შტამპის ადგილი* |

## აპელანტი: შენიშვნა-1

| ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" | 204952767 | თბილისი. ფალიაშვილის ქ.№27/29, მე-2 სართული. |
| --- | --- | --- |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-2 |

| ===================== | =========== |
| --- | --- |
| ალტერნატიული მისამართი შენიშვნა-3 | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | 29 27 73 | | 22 38 74 | greenalt@greenalt.org |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## აპელანტის წარმომადგენელი: შენიშვნა-4

| ნინო გუჯარაიძე | 01015010047 | თბილისი, ბაქრაძის 19 |
| --- | --- | --- |
| სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| | ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართ. ბინა13 |
| --- | --- |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | 29 27 73 | 899 90 25 20 | 22 38 74 | ngujaraidze@greenalt.org |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## მოწინააღმდეგე მხარე: შენიშვნა-5

| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | | თბილისი. ჭანტურიას ქ.№12 |
| --- | --- | --- |
| სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტ. ადგილსამყოფელი) შენიშვნა-6 |

| -------- | |
| --- | --- |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| --------- | -------- | ------ | --------- | --------------- |
| --- | --- | --- | --- | --- |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

## საკონტაქტო პირი: შენიშვნა-7

| | | | |
| --- | --- | --- | --- |
| სახელი, გვარი | სახლის ტელ. | მობილური | ელექტრონული ფოსტა |

შენიშვნა-8

*ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge*
*სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge*

# ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲔᲚ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲡᲘᲐ

| | |
|---|---|
| | სახით: |

დასაბარებელი პირის სტატუსი შენიშვნა-9

| | | |
|---|---|---|
| | | |
| სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ძირითადი მისამართი |

| | |
|---|---|
| | |
| ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა |

შენიშვნა-10

# ᲒᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

შენიშვნა-11

| | |
|---|---|
| სასამართლოს დასახელება: | თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია |
| განმხილველი მოსამართლე: | ნინო შარაძე |
| საქმის ნომერი: | 3/1285-09 |
| მიღების თარიღი: | 2010 წლის 9 ივლისი |

## ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑ:

| | | |
|---|---|---|
| ᲡᲠᲣᲚᲐᲓ | ☒ | |
| ᲜᲐᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ | ☐ | |

რომელ ნაწილში?

შენიშვნა-12

## ᲡᲐᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐ:

გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდება სარჩელი სრულად.

შენიშვნა-13

# გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი უსწორობები

შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი უსწორობა

სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების მონაწილე არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას ანუ არ გასცემს ინფორმაციას ამ ხელშეკრულების ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომ მითითებული ადმინისტრაციული გარიგების ერთ-ერთი მხარე, კერძოდ შპს "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი" არ არის თანახმა ამ ხელშეკრულების, როგორც კომერციული საიდუმლოების გაცემაზე. წინამდებარე ადმინისტრაციული ხელშეკრულების 14.1 მუხლის თანახმად, დადგენილია, რომ წილის ნასყიდობის ან ნებისმიერ დაკავშირებულ საკითხებზე მხარეებს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების უფლება არ გააჩნდათ. აღნიშნული ნორმის დანაწესით გათვალისწინებულია მხარეთა წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების უფლების შეზღუდვა წილის ნასყიდობის ან წილის ნასყიდობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხებთან დაკავშირებით, რაც იმავდროულად არამცდარამც არ ნიშნავს, რომ მთელი ხელშეკრულება კომერციული საიდუმლოებაა, რომლის გაცემის წინააღმდეგია შპს "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმიტედი".

მტკიცებულება:

2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება. 14.1 მუხლი.

2. ფაქტობრივი უსწორობა

არასწორია გასაჩივრებული გადაწყვეტილების 6.2.2 პუნქტში მოცემული დასკვნა ფაქტობრივ გარემოების შესახებ, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედის" შორის დადებული შპს "რუსთავწყალკანალის" 100%, წილის, შპს" მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს "საქწყალკანალის", შპს "თბილისის წყალის" 100 % წილის ნასყიდობის ხელშეკრულება და მისი შემადგენელი, განუყოფელი ნაწილი - ამ ხელშეკრულების დანართები, ასევე შპს "რუსთავწყალკანალის", 100%, წილის, შპს" მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს "საქწყალკანალის", შპს "თბილისის წყალის" 100 % წილის ნასყიდობის ხელშეკრულება დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბრის №1 შეთანხმება არ შეიცავს ინფორმაციას გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით. საქმეზე წარმოდგენილი სარჩელით, მხარის ახსნა-განმარტებით, ასევე შპს "რუსთავწყალკანალის", 100%, წილის, სპს" მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს "საქწყალკანალის", შპს "თბილისის წყალის" 100 % წილის ნასყიდობის 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულებით, რომელიც მოსარჩელის მიერ სასამართლოს მთავარ სხდომაზე იქნა წარმოდგენილი უდავოდ არის დადასტურებული, რომ წინამდებარე ხელშეკრულება მისი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილებით მისი შინაარსის გათვალისწინებით შეიცავს გარემოსდაცვით ინფორმაციას თანახმად "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მე-2 მუხლისა.

მტკიცებულება:

2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული

ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ-16 ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ-17 ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ-18.

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

## გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები

შენიშვნა-19

| | |
|---|---|
| მონიშნეთ, თუკი არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ერთი ან რამდენიმე ქვემოთ მოცემული აბსოლუტური საფუძველი: | |
| ☐ | საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ; |
| ☐ | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით; |
| ☐ | სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლო პროცესის წარმართვის მართლზომიერებას; |
| ☐ | გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც სასამართლოს უწყებრივად არ ექვემდებარება; |
| ☐ | გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები; |
| ☒ | გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; |
| ☒ | გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია; |
| ☐ | გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომელიც გადაწყვეტილებაში არის აღნიშნულნი; |
| ☐ | გადაწყვეტილების გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, ვინც ამ საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; |
| ☐ | საქმეში არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომის ოქმი. |

დასაბუთება: გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლის დასაბუთება დაფუძნებულია და გამომდინარეობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი უსწორობების დასაბუთებიდან.

## გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი უსწორობები

შენიშვნა-20 შენიშვნა-21

სასამართლომ არასწორად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე არასწარად დაადგინა, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული შპს "რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს "მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს "საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლის დანაწესიდან გამომდინარე ხელშეკრულების მონაწილე ადმინისტრაციულმა ორგანომ ამ ხელშეკრულების ხელმოწერით, ფაქტიურად მიიღო გადაწყვეტილება წინამდებარე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში არსებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ და იკისრა ვალდებულება, რომ არ გასცემს ინფორმაციას ამ ხელშეკრულებისათვის დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ, სხვა მხარის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

წინამდებარე ადმინისტრაციული ხელშეკრულების 14.1 მუხლის თანახმად, დადგენილია, რომ წილის ნასყიდობის ან ნებისმიერ დაკავშირებულ საკითხებზე მხარეებს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების უფლება არ გააჩნდათ. აღნიშნული ნორმის დანაწესით გათვალისწინებულია მხარეთა წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე განცხადების გაკეთების უფლების შეზღუდვა მხოლოდ წილის ნასყიდობის ან წილის ნასყიდობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხებთან დაკავშირებით, რაც იმავდროულად არამცდარამც არ ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას მთელი ხელშეკრულების კომერციული საიდუმლოდ მიჩნევის შესახებ,

ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესი მით უფრო არ ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას არ გასცეს ინფორმაცია ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა სზაკ-ის 27-ე მეორე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილები, შესაბამისად არ დაადგინა დაცული იყო თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოცემულ შემთხვევაში კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მითითებული ნორმებით დადგენილი წესი. იმ პირობებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს არ მიუღია სზაკ-ის 272 მუხლის მესამე ნაწილით დადგენილ 10 დღის ვადაში გადაწყვეტილება - 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული შპს "რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს "მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს "საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულების კომერციულ საიდუმლო ინფორმაციად მიჩნევის თაობაზე, როდესაც საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო რეესტრში არ არის შეტანილი ინფორმაცია წინამდებარე ხელშეკრულების როგორც კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ - სასამართლოს დასკვნა მოსარჩელის პოზიციის არ გაზიარების შესახებ, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ იქნა დაცული საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონით დადგენილი წესი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქმეზე არ მოიპოვება და მხარეთა მიერ ვერც საქმის განხილვისას იქნა წარმოდგენილი რაიმე წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონით დადგენილი წესის დაცვის შესახებ. მოქმედი კანონმდებლობით არ არის დადგენილი, რომ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაზე მხარის ხელმოწერა ფაქტიურად ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას ამავე ხელშეკრულებაში არსებული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ და შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ ინფორმაციის არ გაცემის შესახებ სხვა მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

სასამართლომ სწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული შპს "რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს "მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს "საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, მისი შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი დანართები, ამ ხელშეკრულების დამატებითი განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ 2009 წლის 22 დეკემბრის შეთანხმება №1 წარმოადგენენ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით იურიდიულ პირებთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას ანუ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია კერძო სამართლის იურიდიული პირების შპს "რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალის" და შპს "თბილისის წყალის" კომერციული წილების გასხვისების თაობაზე, თუმცა არასწორია ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს დასკვნა მასზედ, რომ ვინაიდან მოცემული ადმინისტრაციული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირების კომერციული წილების გასხვისება ამდენად ეს ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული გარემოს მდგომარეობის საკითხებთან ან გარემოს დაცვის ვალდებულებასთან.

უფრო მეტიც, სასამართლომ სათანადო შეფასება არ მისცა: მოპასუხის ახსნა-განმარტებას მასზედ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო თანხის სრულად გადახდის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 19 აგვისტოს №1-1/1725 ბრძანების საფუძველზე 2008 წლის 20 აგვისტოს შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედზე" გაიცა საკუთრების

მოწმობა №692-პ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით, მოსარჩელის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდიდან ამოღებულ და საქმეზე წარმოდგენილ 2008 წლის 14 მაისს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ.თბილისის მთავრობასა და შპს "მალტიპლექს ენერჯი ლიმითედი"-ს შორის დადებული შპს "რუსთავწყალკანალის" 100% წილის, შპს "მცხეთაწყალკანალის" 100% წილის, შპს "საქწყალკანალის" 100% წილისა და შპს "თბილისის წყალის" 100% წილის ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც შპს" მალტიპლექს ენერჯი ლიმითედის" მიერ ნაკისრი ვალდებულებები დაკავშირებულია სწორედ მის მიერ გარემოს დაცვის საკითხებთან. შესაბამისად სწორედ გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციებს შეიცავს წინამდებარე ადმინისტრაციული ხელშეკრულება და მისი დანართები, დამატებითი განმარტება და მასში ცვლილებების შესახებ 2009 წლის 22 დეკემბრის №1 შეთანხმება, რომლის გაცემის დავალდებულების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა სასამართლომ სრულიად უკანონოდ არ დააკმაყოფილა.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" (ორჰუსის) კონვენციის მე-2 მუხლი, რომლის თანახმადაც უდავოდ დასტურდება, რომ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ხელშეკრულება და მისი დანართები, დამატებითი განმარტება და მასში ცვლილებების შესახებ 2009 წლის 22 დეკემბრის №1 შეთანხმება შეიცავს გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - სზაკ-ის 42-ე მუხლის "ა" პუნქტი, რომლის თანახმადაც დაუშვებელია გარემოს შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლება. მოცემულ შემთხვევაში საქმეზე არ არის წარმოდგენილი მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ რაიმე მტკიცებულება, ხოლო მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე წყლის, როგორც გარემოს შემადგენელ ელემენტთან დაკავშირებით დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, მისი დანართები, დამატებითი განმარტება და მასში ცვლილებები აუცილებლად მოახდენს ზეგავლენას წყლის მდგომარეობაზე და მაშასადამე ადამიანის ჯანმრთელობაზე. ამდენად ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" სრული უფლება ჰქონდა მოეთხოვა და მიეღო მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - ადამიანის უფლებათა ევროპული კონვეციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმადაც ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით; საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ განეკუთვნება კომერციულ საიდუმლოებას.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლი, რომლის თანახმადაც ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი, რომლის თანახმადაც საჯარო დაწესებულებას ეკისრება ვალდებულება გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ

ან არა უგვიანეს 10 დღისა . . . თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღიანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეუენებინა - საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17.1 მუხლი. მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით და სასამართლო განხილვით უდავოდ არის დადგენილი და დადასტურებული, რომ მოპასუხემ ვერ მიუთითა და ვერ დაამტკიცა სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების უარმყოფელი ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების შესახებ.

°°°°°

## მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-22

| მოწმე | ფაქტ. გარემოება(ები) | საპატიო მიზეზი |
|---|---|---|
| | | |
| ექსპერტი | ფაქტ. გარემოება(ები) | საპატიო მიზეზი |
| | | |
| სპეციალისტი | ფაქტ. გარემოება(ები) | საპატიო მიზეზი |
| | | |

შენიშვნა-23

| შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე. |
|---|
| 1. |

შენიშვნა-24

| შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე. |
|---|
| 1. |

შენიშვნა-25

| შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე. |
|---|
| 1. |

შენიშვნა-26

## სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-27

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

| დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი განხილვისას? | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | ვის? რომელი ენის მცოდნე? |
| **არა** | ☒ | |

| | | |
|---|---|---|
| **საჩივრის ფასი** შენიშვნა-28 | — | (არაქონებრივი) ლარი |
| **სახელმწიფო ბაჟი** შენიშვნა-29 | — | 150 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| 1. ხომ არ გათავისუფლებთ კანონი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან? | | დიახ ☐ არა ☒ |
| რომელი ნორმა? | | |
| მტკიცებულება: | | |
| 2. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას? | | დიახ ☐ არა ☒ |
| რის საფუძველზე? | | |
| მტკიცებულება: | | |
| 3. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირებას? | | დიახ ☐ არა ☒ |
| რის საფუძველზე? | | |
| მტკიცებულება: | | |
| 4. ხომ არ ითხოვთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას? | | დიახ ☐ არა ☒ |
| რის საფუძველზე? | | |
| მტკიცებულება: | | |
| შუამდგომლობები პროცესის სხვა (სასამართლო ან სასამართლოსგარეშე) ხარჯების თაობაზე:<br>5. | | |

შენიშვნა-30

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

| | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | მორიგების პირობები: |
| **არა** | ☒ | რადგან |

შენიშვნა-31

| თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე? | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | |
| **არა** | ☒ | რადგან განსახილველი საქმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვან საქმთა კატეგორიას განეკუთვნება. |

შენიშვნა-32

| რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის? |
|---|
| 20 წუთზე მეტი რადგან განსახილველი დავა განეკუთვნება რთულ კატეგორიას. |

| რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება? |
|---|
| I სხდომაში |

შენიშვნა-33

| თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით? | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☒ | |
| **არა** | ☐ | რადგან |

შენიშვნა-34

| თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას? | | |
|---|---|---|
| ძირითად მისამართზე | დროის ოპტიმალური შუალედი: | 14:00 - 18:00 |

| თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით? | | |
|---|---|---|
| **დიახ** | ☐ | |
| **არა** | ☒ | რადგან |

შენიშვნა-35

## თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-36 შენიშვნა-37

დანართი 1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. 2 (ორი) ფურცელი.
2. წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი რწმუნებულება 1 (ერთი) ფურცელი;
3. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. 1 (ერთი) ფურცელი.

ფურცლების საერთო რაოდენობა — 4

## სააპელაციო საჩივრის ფორმალური გამართულობა

ამ ფორმის შევსებით თქვენ და სასამართლოს მისაღების მოხელე ამოწმებთ სააპელაციო საჩივრის ფორმალურ გამართულობას. გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი პირობის დაუცველობა შესაძლოა გახდეს თქვენს სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენისა და შემდგომში მის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

| | | დიახ | არა |
|---|---|---|---|
| 1. | მითითებულია იმ სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეგაქვთ სააპელაციო საჩივარი. | ☒ | ☐ |
| 2. | მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოპასუხის სახელი, გვარი (სახელწოდება) და ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი). | ☒ | ☐ |
| 3. | მითითებულია თქვენი (აპელანტის), თქვენი (აპელანტის) წარმომადგენლის და მოწინააღმდეგე მხარის ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. | ☒ | ☐ |
| 4. | მითითებულია სხდომაზე დასაბარებელი პირის სახელი, გვარი, ძირითადი მისამართი, ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონი, მობილური, ელექტრონული ფოსტა და ფაქსი. მითითებულია საკონტაქტო პირის მონაცემები. | ☐ | ☒ |
| 5. | მითითებულია გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტი დასახელება. | ☒ | ☐ |
| 6. | მითითებულია, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული. | ☒ | ☐ |
| 7. | მითითებულია სააპელაციო მოთხოვნა. | ☒ | ☐ |
| 8. | მითითებულია სააპელაციო საჩივარზე თანდართული საბუთების ნუსხა. | ☒ | ☐ |
| 9. | სააპელაციო საჩივარს ერთვის თანდართული საბუთების ნუსხაში მითითებული ყველა დოკუმენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულების წარმოუდგენლობა საპატიო მიზეზითაა გამართლებული. | ☒ | ☐ |
| 10. | სააპელაციო საჩივარს ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი ოდენობის შემცირების ან გადახდის გადავადების თაობაზე. | ☒ | ☐ |
| 11. | მითითებულია თქვენი მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. | | |
| 12. | სააპელაციო საჩივარს ერთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (თუ სააპელაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს). | ☒ | ☐ |
| 13. | სააპელაციო საჩივარი ხელმოწერილია. | ☒ | ☐ |
| 14. | სააპელაციო საჩივარი და თანდართული საბუთები წარმოდგენილია იმდენი ასლით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში. | ☒ | ☐ |

*მხოლოდ სასამართლო მოხმარებისათვის*

| სააპელაციო საჩივარი ფორმალურად გამართულია: | სააპელაციო საჩივარი ფორმალურად არაა გამართული: | ხელმოწერა | სახელი და გვარი |
|---|---|---|---|
| ☐ | ☐ პუნქტების ჩამონათვალი | | |

**აქტივობის ბმული:** [http://tbappeal.court.ge/sf](http://tbappeal.court.ge/sf) http://tbappeal.court.ge/sf

შენიშვნა-38

**საიდენტიფიკაციო ნომერი:**

შენიშვნა-39

შენიშვნა-40 *ელ. ფოსტა:* 2nd.instance@court.ge ☐

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|---|---|---|
| | ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა"ს აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე | 03/11//2010 წ. |
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

შენიშვნა-41